



„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ სამოქალაქო საბჭოების მიერ 2019 წელს გამოვლენილი საჭიროებათა ახალციხეში



„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ სამოქალაქო საბჭოების წევრებმა ახალციხესა და მიმდებარე 13 სოფელში 30-მდე ინფრასტრუქტურული პრობლემა/საჭიროება გამოავლინეს.

სოფლების დიდ ნაწილში პრობლემურია შიდა საუბნო გზების, სანიაღვრე არხების არსებული მდგომარეობა, გარეგანობისა და სასმელი და სარწყავი წყლის სისტემების გაუმართაობა, ახალციხესთან დამაკავშირებელ გზაზე კლდოვანი მასიდან ქვათა ცვენა და ა.შ. ქალაქის ნაწილში კი ქვეითთა გადასასვლელი და ტროტუარებია გასაახლებელი, ზოგან კი მოსაწყობი; დასანიშნია მუნიციპალური ტრანსპორტი ქალაქის რამდენიმე უბანში, ბევრგან საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელია დასამონტაჟებელი.

სამოქალაქო საბჭოები ჩვენი ორგანიზაციის ინიციატივით შექმნილი მოქალაქეთა არაფორმალური გაერთიანებებია, რომელთა მიზანია უშუალოდ ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობითა და ჩვენი ორგანიზაციის შუამდგომლობით მოგვარდეს მუნიციპალიტეტებში არსებული პრობლემები.

ორგანიზაცია გამოვლენილი პრობლემების შესახებ ინფორმაციას ახალციხის მუნიციპალიტეტს ბიუჯეტების პროექტის დამტკიცებამდე მიაწვდის, რათა უზრუნველყოთ ამ საჭიროებების მოგვარება 2020 წელს.

ახალციხესა და მიმდებარე დასახლებებში გამოვლენილი 3 პრობლემის შესახებ მუნიციპალიტეტს ადრეც გაუგზავნეთ მიმართვა ადგილობრივ მოქალაქეთა ხელმოწერებით, თვითმმართველობისგან მივიღეთ მზაობის დამადასტურებელი წერილები, განეხილათ და ბიუჯეტში გაეთვალისწინებინათ გამოვლენილი პრობლემები. ამჟერადაც მოვუწოდებთ მუნიციპალიტეტის მერიას, ქვემოთ ჩამოთვლილი პრობლემები დროულად განიხილოს და მათ გადასაჭრელად შესაბამისი ნაბიჯები გადადგას 2020 წელს:

სამსხე-ჯავახეთი

ახალციხე	
პრობლემის თივი	მოსახლეობის მოთხოვნა
მონეტრიკები საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემა	რაბათის, აბის, საბარგო სადგურის და ე.წ. დევნილთა დასახლებებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის დანიშვნა. სამარშრუტო ტაქსების მუნიციპალური ავტობუსებით ჩანაცვლება
მონეტრიკები საგზაო ინფრასტრუქტურა	<ul style="list-style-type: none"> ტროტუარისა და ბორდიურების მოწყობა რუსთაველის ქუჩაზე, ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან შუქნიშნებზე, ქვეითებისთვის განკუთვნილი და მწყობრიდან გამოსული STOP ღილაკების მოწესრიგება ახალციხეში, ხელოვნური ტბის მიმდებარედ, ახალციხე-ახალქალაქის გზატკეცილზე ტროტუარების მოწყობა

ახალციხე, სოფელი წყონა	
პრობლემის თივი	მოსახლეობის მოთხოვნა
მონეტრიკები ინფრასტრუქტურა	<ul style="list-style-type: none"> სოფლის ცენტრალური გზის გასწვრივ სანიაღვრე არხების მოწყობა სასმელი წყლის მოძველებული შიდა ქსელის რეაბილიტაცია და სათავე ნაგებობის სტანდარტების შესაბამისად მოწყობა

ახალციხე, სოფელი ახალშენი	
პრობლემის თივი	მოსახლეობის მოთხოვნა
მონეტრიკები ინფრასტრუქტურა	სოფელში მცირე სპორტული მოედნის მოწყობა

ახალციხე, სოფელი ანი	
პრობლემის თივი	მოსახლეობის მოთხოვნა
მონეტრიკები ინფრასტრუქტურა	საბავშვო ბაღის მშენებლობა
სასმელი წყლის სისტემის გაუმართაობა	წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა

ახალციხე, სოფელი აწყური	
პრობლემის თივი	მოსახლეობის მოთხოვნა
სასმელი წყლის სისტემის გაუმართაობა	სოფლის სასმელი წყლით მომარაგება
მონეტრიკები საგზაო ინფრასტრუქტურა	<ul style="list-style-type: none"> მდინარე მტკვარზე არსებული ხიდის რეაბილიტაცია შიდა ქუჩის რეაბილიტაცია ე.წ. ქართველების უბანში გარე განათების მოწყობა ე.წ. ქართველების უბანში

ახალციხე, სოფელი სხვილი	
პრობლემის თივი	მოსახლეობის მოთხოვნა
მონეტრიკები საგზაო ინფრასტრუქტურა	ფეხით სავალი ნაწილების, ტროტუარებისა და ბორდიურების მოწყობა
მონეტრიკები ინფრასტრუქტურა	კულტურის სახლის რეაბილიტაცია

ახალციხე, სოფელი წნისი	
პრობლემის თივი	მოსახლეობის მოთხოვნა
მონეტრიკები ინფრასტრუქტურა	სოფლის სასმელი წყლით მომარაგება

ახალციხე, სოფელი კდე	
პრობლემის თივი	მოსახლეობის მოთხოვნა
მონეტრიკები ინფრასტრუქტურა	სპორტული მოედნის მოწყობა

ახალციხე, სოფელი მყაბანა	
პრობლემის თივი	მოსახლეობის მოთხოვნა
მონეტრიკები ინფრასტრუქტურა	კლუბის ავარიული შენობის დემონტაჟი და მის ადგილზე სპორტული მოედნის მოწყობა

ახალციხე, სოფელი მუსი	
პრობლემის თივი	მოსახლეობის მოთხოვნა
მონეტრიკები საგზაო ინფრასტრუქტურა	<ul style="list-style-type: none"> სანიაღვრე არხების მოწყობა შიდა გზების დაგება

ახალციხე, სოფელი მიწაძე	
პრობლემის თივი	მოსახლეობის მოთხოვნა
მონეტრიკები საგზაო ინფრასტრუქტურა	<ul style="list-style-type: none"> საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელის მოწყობა სკოლასთან და ბაღთან ცენტრალურ გზაზე ტროტუარებისა და ბორდიურების მოწყობა მინაძე-ახალციხის დამაკავშირებელი ე.წ. წითელი ხიდის რეაბილიტაცია

ახალციხე, სოფელი საყუნეთი	
პრობლემის თივი	მოსახლეობის მოთხოვნა
მონეტრიკები საგზაო ინფრასტრუქტურა	სანიაღვრე არხების მოწყობა

ახალციხე, სოფელი სვირი	
პრობლემის თივი	მოსახლეობის მოთხოვნა
მონეტრიკები ინფრასტრუქტურა	<ul style="list-style-type: none"> სასმელი წყლით მომარაგება, რეზერვუარების რეაბილიტაცია და შიდა ქსელის მოწყობა მინი სტადიონის მოწყობა

ახალციხე, სოფელი უჩაველი	
პრობლემის თივი	მოსახლეობის მოთხოვნა
სასმელი წყლის სისტემის გაუმართაობა	სასმელი წყლით მომარაგება, რეზერვუარების რეაბილიტაცია და შიდა ქსელის მოწყობა
მონეტრიკები ინფრასტრუქტურა	მინი სტადიონის მოწყობა
მონეტრიკები საგზაო ინფრასტრუქტურა	ახალციხე-ურავლის გზაზე ლოდების ცვენისგან დამცავი ინფრასტრუქტურის მოწყობა

მნიშვნელოვანია, რომ ახალციხის მერიამ ჩვენი სამოქალაქო საბჭოების წევრების მიერ იდენტიფიცირებული პრობლემები დაჩქარებულად შეისწავლა, რათა მომავალი წლის ბიუჯეტში მათი გათვალისწინება მოესწროს. ორგანიზაციამ გამოვლენილი პრობლემების ჩამონათვალი ახალციხის მერიას უკვე გაუგზავნა.